საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2203/01
07/03/2022

2203-01-2-202203071749

მოქალაქე თეკლა ადამიას

(ელ.ფოსტა:foi+request-406-c200f1c4@askgov.ge)

ქალბატონო თეკლა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მიმდინარე წლის 17 თებერვალს შემოსული თქვენი წერილის პასუხად გიგზავნით თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას.

აქვე გაცნობებთ, რომ 2018 წელს, ორი სამინისტროს (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო), შერწყმა/რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. შესაბამისად, 2017 წლის ინფორმაციას გიგზავნით ზემოაღნიშნული სამინისტროების მონაცემების შესბამისად ცალ-ცალკე.

2017 წელი (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო)

2017 წელს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 84 განცხადება.

- **რეაგირება განხორციელდა ყველა განცხადებაზე (84). მათ შორის:**

კომპეტენციის ფარგლებში პასუხი გაეცა 81 განცხადებას;
3 განცხადება განსჯადობის მიხედვით ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს მე-80 მუხლის საფუძველზე, გადაეგზავნა შესაბამის უწყებას,რის შესახებაც ეცნობა განმცხადებელს.

- საჯარო ინფორმაციის გაცემის კანონით დადგენილი ვადა არ დარღვეულა;

- საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სასამართლო დავა სამინისტროს არ ჰქონია;

2017 წელი (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო)

2017 წელს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 193 განცხადება.

- **რეაგირება განხორციელდა ყველა განცხადებაზე (193). მათ შორის:**

კომპეტენციის ფარგლებში პასუხი გაეცა 192 განცხადებას;
1 განცხადება განსჯადობის მიხედვით ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს მე-80 მუხლის საფუძველზე, გადაეგზავნა შესაბამის უწყებას,რის შესახებაც ეცნობა განმცხადებელს.

- საჯარო ინფორმაციის გაცემის კანონით დადგენილი ვადა არ დარღვეულა;

- საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სასამართლო დავა სამინისტროს არ ჰქონია;

2018 წელი -საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

2018 წელს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 218 განცხადება.

- **რეაგირება განხორციელდა ყველა განცხადებაზე (218). მათ შორის:**

198 განცხადებაზე კომპეტენციის ფარგლებში გაეცა პასუხი;
19 განცხადება განსჯადობის მიხედვით, ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს მე-80 მუხლის საფუძველზე, გადაეგზავნა შესაბამის უწყებას,რის შესახებაც ეცნობა განმცხადებელს;
1 შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა განმცხადებელს (უარი განმცხადებელს ეთქვა იმ საფუძვლით, რომ სამინისტროში ინფორმაცია არ იყო დაცული);

- 1 შემთხვევაში, ინფორმაციის მოცულობიდან გამომდინარე, განმცხადებელს ინფორმაციის ნაწილი მიეწოდა კანონით დადგენილ ვადაში, ნაწილი კი დამატებით-დამუშავებისთანავე);

- საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სასამართლო დავა სამინისტროს არ ჰქონია;

2019 წელი

2019 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 233 განცხადება.

- **რეაგირება განხორციელდა ყველა განცხადებაზე (233). მათ შორის:**

227 განცხადებაზე კომპეტენციის ფარგლებში გაეცა პასუხი;
5 განცხადება განსჯადობის მიხედვით, ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს მე-80 მუხლის საფუძველზე, გადაეგზავნა შესაბამის უწყებას,რის შესახებაც ეცნობა განმცხადებელს;

1 შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა განმცხადებელს (უარის საფუძველი- ინფორმაცია სამინისტროში არ მუშავდებოდა იმ ფორმით, რასაც ითხოვდა განმცხადებელი);

- 2 შემთხვევაში, ინფორმაციის მოცულობიდან გამომდინარე, განმცხადებელს ინფორმაციის ნაწილი მიეწოდა კანონით დადგენილ ვადაში, ნაწილი კი-დამატებით დამუშავებისთანავე);

- საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სასამართლო დავა სამინისტროს არ ჰქონია;

2020 წელი

2020 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 239 განცხადება.

- **რეაგირება განხორციელდა ყველა განცხადებაზე (239). მათ შორის:**

224 განცხადებაზე კომპეტენციის ფარგლებში გაეცა პასუხი;
13 განცხადება განსჯადობის მიხედვით, ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს მე-80 მუხლის საფუძველზე, გადაეგზავნა შესაბამის უწყებას,რის შესახებაც ეცნობა განმცხადებელს;
2 განცხადებაზე გაიცა უარი (ერთ შემთხვევაში მოთხოვნილი იყო პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, მეორე შემთვევაში ინფორმაცია შეიცავდა კომერციულ საიდუმლოებას);

- 3 შემთხვევაში ინფორმაციის მოცულობიდან გამომდინარე, განმცხადებელს ინფორმაციის ნაწილი მიეწოდა კანონით დადგენილ ვადაში, ნაწილი კი-დამატებით დამუშავებისთანავე);

- საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სასამართლო დავა სამინისტროს არ ჰქონია;

2021 წელი

2021 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 239 განცხადება.

- **რეაგირება განხორციელდა ყველა განცხადებაზე (279). მათ შორის:**

244 განცხადებაზე კომპეტენციის ფარგლებში გაეცა პასუხი;
34 განცხადება განსჯადობის მიხედვით, ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს მე-80 მუხლის საფუძველზე, გადაეგზავნა შესაბამის უწყებას,რის შესახებაც ეცნობა განმცხადებელს;
1 განცხადებაზე გაიცა უარი (ინფორმაცია შეიცავდა კომერციულ საიდუმლოებას);

- 1 შემთხვევაში, ინფორმაციის მოცულობიდან გამომდინარე, განმცხადებელს ინფორმაციის ნაწილი მიეწოდა კანონით დადგენილ ვადაში, ნაწილი კი დამუშავებისთანავე მიეწოდა დამატებით);

- საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სასამართლო დავა სამინისტროს არ ჰქონია;

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე